საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ებ ა

N 8

ქ. თბილისი
16/02/2021

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში - „საქსტატში“ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსისა“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N406 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცებულ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში - „საქსტატში“ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი თანდართული სახით;
2. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული მექანიზმითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად შეიქმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

   ა) სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი;

   ბ) სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი;

   გ) სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი;
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.
4. აღნიშნული ბრძანება გაეცნოს ყველა დასაქმებულ პირს დადგენილი წესის შესაბამისად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში - „საქსტატში“ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მექანიზმის რეგულირების სფერო

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდეგში საქსტატი) სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი (შემდეგში მექანიზმი), მოქმედი კანონმდებლობისა და საქსტატის შრომის შინაგანაწესის საფუძველზე, აწესრიგებს საქსტატში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხებსა და პროცედურებს.

მუხლი 2. მექანიზმის მიზნები

მექანიზმის მიზნებია:

ა) საქსტატში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნა;
ბ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;
გ) სექსუალური შემავიწროებლის მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება;
დ) სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება;
ე) დასაქმებულებისათვის კეთილგანწყობილი და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა.

მუხლი 3. მექანიზმის მოქმედების ფარგლები

1. მექანიზმის მოქმედება ვრცელდება საქსტატში, მათ შორის, ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებულ ნებისმიერ პირზე, მისი თანამდებობრივი მდგომარეობის, პოზიციისა და ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიუხედავად.
2. საქსტატის ტერიტორიად ჩაითვლება ნებისმიერი ადგილი, რომელიც გამოიყენება საქსტატის საქმიანობის მიზნებისთვის, მათ შორის, საქსტატის ცენტრალური ოფისი და ტერიტორიული ორგანოები, ასევე, შენობის გარეთ სივრცეები, მათ შორის, შეხვედრები, მივლინებები, ტრენინგები, კონფერენციები, სოციალური ქსელი და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.
3. მექანიზმის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა საქსტატში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის და მათი დარღვევა იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.
4. სექსუალური შევიწროება შესაძლოა განახორციელოს საქსტატის თანამშრომელმა.
5. სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შესაძლოა იყოს საქსტატის თანამშრომელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება პირმა საქსტატის თანამშრომლის სტატუსით განახორციელა.
6. ამ მექანიზმის მიზნებისთვის, საქსტატის თანამშრომლად ჩაითვლება საქსტატში მომუშავე საშტატო განრიგით გათვალისწინებული და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი.

7. საქსტატის აღმასრულებელ დირექტორზე მექანიზმით გათვალისწინებული დებულებები მოქმედებს მისი სამართლებრივი სტატუსისა და არსებული სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით.

მუხლი 4. მექანიზმის ძირითადი პრინციპები

მექანიზმი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმაა;
ბ) სექსუალურ შევიწროებას შესაძლოა დაექვემდებაროს ნებისმიერი პირი მისი სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, სოციალური სტატუსის, სამსახურებრივი პოზიციის ან სხვა ნიშნის მიუხედავად;
გ) სექსუალური შევიწროება მსხვერპლის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებით უარყოფით ეფექტს ახდენს, მათ შორის, ამცირებს მის სამუშაო პროდუქტიულობას;
დ) საქსტატში დასაქმებული ნებისმიერი პირი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართული ნებისმიერი განხილვა, კომუნიკაცია თუ ქმედება;
ე) ყველა დასაქმებული ვალდებულია, გამოიჩინოს პატივისცემა წინამდებარე მექანიზმის მიმართ და ბოროტად არ ისარგებლოს მისი დებულებებით, ცრუ და არაკეთილსინდისიერი ბრალდებების წაყენების გზით;
ვ) აკრძალულია ვიქტიმიზაცია - პირის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, სავარაუდო შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო.

თავი II. სექსუალური შევიწროების ცნება, სახეები ფორმები და ინდიკატორები

მუხლი 5. სექსუალური შევიწროების ცნება და სახეები

1. საქსტატში აკრძალულია ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროება.
2. სექსუალურ შევიწროება არის პირის მიმართ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.
3. სექსუალურ შევიწროებას აქვს, ძირითადად ორი სახე:

ა) მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo), რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის მოთხოვნას რაიმე სახის სარგებლის სანაცვლოდ;
ბ) მტრული სამუშაო გარემო ანუ სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი პირობების შექმნა.

მუხლი 6. სექსუალური შევიწროების ფორმები

სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოიხატოს, მათ შორის, შემდეგ ქმედებებში:

ა) სიტყვიერი

ა.ა) სექსუალური ხასიათის ხუმრობა

ა.ბ) სექსუალური ხასიათის კომენტარი ადამიანის გარეგნობის, ჩაცმულობის ან პირადი ცხოვრების შესახებ

ა.გ) კომენტარი ადამიანის სექსუალობის შესახებ

ა.დ) კომენტარი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ

ა.ე) კომენტარი საკუთარი სექსუალური გამოცდილების/პრეფერენციების შესახებ

ა.ვ) სექსუალური ხასიათის სახელების დაძახება

ბ) არასიტყვიერი

ბ.ა.) სექსუალური ხასიათის ფოტოს/ვიდეოს ჩვენება ან ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით გაგზავნა

ბ.ბ.) სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის ჩვენება

ბ.გ) სექსუალური ხასიათის ტექსტის გაგზავნა ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით

ბ.დ) პირადი სივრცის დარღვევა/საუბრისას მეორე ადამიანთან ზედმეტად მიახლოება

ბ.ე) მზერა

ბ.ვ) სტვენა

გ) ფიზიკური

გ.ა) სახეზე ან სხეულზე (მაგალითად, მხარზე ან წელზე და ა. შ.) შეხება

გ.ბ) ჩახუტება

გ.გ) ჩქმეტა

აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შეიძლება მოიცავდეს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ქცევას, რომელიც არასასურველია და მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს

მუხლი 7. სექსუალური შევიწროების ინდიკატორები

სექსუალური შევიწროების ინდიკატორები, მათ შორის, შესაძლოა იყოს:

ა) ქმედების ხასიათი;

ბ) მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა;

დ) ქმედების ინტენსივობა;

ე) ქმედების განმეორებადობა;

ვ) შემავიწროებლის შესაძლებლობა, მოახდინოს მსხვერპლზე გავლენა;

ზ) მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა;

თ) შემავიწროებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობა, მათ შორის, სამსახურეობრივი იერარქია.

აღნიშნული ინდიკატორები არ არის ამომწურავი და ერთი ინდიკატორის არსებობაც შესაძლოა საკმარისი იყოს სექსუალური შევიწროების დასადასტურებლად. ამასთან, შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევას მხოლოდ რამდენიმე ინდიკატორი ან არც ერთი მათგანი არ ახასიათებდეს.

თავი III. საჩივრის წარდგენისა და წარმოების დაწყების წესი

მუხლი 8. საჩივრის წარდგენა

1. ნებისმიერმა პირმა, რომელიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევს, თუ შესაძლებელია, სავარაუდო შემავიწროებელს უნდა შეატყობინოს, რომ მისი ქცევა არის არასასურველი და მიუღებელი.
2. სავარაუდო შემავიწროებლის ინფორმირება სავარაუდო მსხვერპლის სურვილზეა დამოკიდებული და არ წარმოადგენს ვალდებულებას.
3. თუ მსხვერპლს არ შეუძლია უშუალოდ მიმართოს სავარაუდო შემავიწროებელს, მას შეუძლია, სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრით მიმართოს საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს. სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი საჩივარს წარადგენს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.
4. სავარაუდო მსხვერპლი საჩივარში მიუთითებს სავარაუდო შემავიწროებლის სახელსა და გვარს, დაკავებულ თანამდებობას, მათი სამსახურებრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, სექსუალური შევიწროების ფაქტებს. არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლი საჩივარს თან დაურთავს მტკიცებულებებს (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფაქტის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ).
5. სავარაუდო მსხვერპლის ნაცვლად, მესამე პირი უფლებამოსილია, საჩივარი წარადგინოს აღმასრულებელ დირექტორთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია სათანადო მტკიცებულება და მიიჩნევს, რომ სავარაუდო მსხვერპლი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს საჩივრის უფლების გამოყენებას.
6. ამ მექანიზმით განსაზღვრული საჩივრის პროცედურის გამოყენებამდე, მისი გამოყენებისას ან გამოყენების შემდეგ, მსხვერპლი არც ერთ ეტაპზე არ არის შეზღუდული, სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ მიმართოს სასამართლოს ან/და საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. წარმოების დაწყება

1. სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის ან სავარაუდო მსხვერპლის ნაცვლად, მესამე პირის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენის შემდეგ, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი გამოსცემს ბრძანებას დამოუკიდებელი კომისიის შექმნისა და დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე, რომელშიც აღინიშნება სავარაუდო შემავიწროებლის ვინაობა და გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო დისციპლინური წარმოების დაწყებას.
2. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო შემავიწროებელი არის სავარაუდო მსხვერპლის უშუალო უფროსი, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი სავარაუდო მსხვერპლის ინტერესების დაცვისა და სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მხარის თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური

წარმოებისას, ერთ-ერთ მხარეს შეუცვალოს სამუშაო ფუნქციები ან/და სამუშაო სივრცე ან გამოიყენოს სხვა დროებითი ღონისძიება.

თავი IV. სექსუალური შევიწროების ფაქტის შემსწავლელი კომისიის დაკომპლექტების წესი და მისი უფლება-მოვალეობები

მუხლი 10. კომისიის დაკომპლექტება

1. საქსტატში სექსუალური შევიწროების საქმეებზე დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს დამოუკიდებელი კომისია.
2. კომისიას, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, ქმნის და მის შემადგენლობას განსაზღვრავს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი კომისიას ქმნის საჩივრის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.
4. კომისია შედგება ოთხი წევრისგან, რომლებიც არიან:

ა) სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი;

ბ) სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი;

გ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ყველაზე მაღალი რანგის სპეციალისტი;

დ) იმ დეპარტამენტის/სამმართველოს უფროსი, რომლის დანაყოფშიც ჰქონდა ადგილი სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სავარაუდო შემავიწროებელი აღნიშნული დეპარტამენტის/სამმართველოს უფროსია. ამ შემთხვევაში, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, კომისიის წევრად შეირჩევა საქსტატის სხვა დეპარტამენტის/სამმართველოს უფროსი.

5. სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი, უფლებამოსილია მოითხოვოს:

ა) ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ან თუ სავარაუდო შემავიწროებელი კომისიის წევრია, კომისიის რომელიმე წევრის შესაბამისი რანგის საქსტატის სხვა თანამშრომლით ჩანაცვლება ან

ბ) კომისიის წევრი დეპარტამენტის/სამმართველოს უფროსის საქსტატის თანამშრომელი მესამე დამოუკიდებელი პირით ჩანაცვლება.

6. მე-5 პუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და კომისიის ალტერნატიული წევრის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი კომისიის პოტენციური წევრია, აღმასრულებელი დირექტორი კომისიის დაკომპლექტებისთანავე იღებს გადაწყვეტილებას მისი შესაბამისი რანგის საქსტატის სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების თაობაზე

7. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის წევრები, სავარაუდო მსხვერპლი, სავარაუდო შემავიწროებელი და კომისიის მიერ საქმის შესწავლის პროცესში ჩართული

ყველა პირი ვალდებულია არ გაასაჯაროვოს კომისიის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, გამოკვლეული მტკიცებულებები და მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 11. კომისიის უფლებამოსილება

1. კომისია, მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით, უფლებამოსილია:

ა) გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი;

ბ) გამოკითხოს სავარაუდო შემავიწროებელი;

გ) გამოკითხოს მესამე პირები, ვინც შესაძლოა ფლობდეს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) გამოიკვლიოს საქმეში არსებულ ნებისმიერი მტკიცებულება;

ე) გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით, მიიღოს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ;

ვ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, განსაზღვროს შემავიწროებლის მიმართ დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

2. დისციპლინური წარმოების პროცესში ყველა დასაქმებული ვალდებულია კომისიას, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი თუ ინფორმაცია, მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, მისცეს ახსნა-განმარტება უშუალოდ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით;
3. ობიექტური გარემოებების არსებობისას, მათ შორის, კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, კომისია უფლებამოსილია სავარაუდო მსხვერპლსა და შემავიწროებელს გაესაუბროს მათთვის სასურველ ადგილას, რომელიც შესაძლოა იყოს საქსტატის ადმინისტრაციული შენობის გარეთ არსებული ტერიტორია.
4. კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საქსტატის შრომის შინაგანაწესის და ამ მექანიზმის შესაბამისად.

თავი V. საჩივრის განხილვის ვადები და დასკვნის მომზადება

მუხლი 12. საჩივრის განხილვის ვადა

1. სექსუალური შევიწროების საჩივართან დაკავშირებით კომისია გადაწყვეტილებას იღებს წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში.
2. თუ დისციპლინური გადაცდომისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, 1 თვიანი ვადის გასვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური წარმოების ვადის დამატებით არაუმეტეს 1 თვით გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 13. სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი კომისიის მიერ დასკვნის მომზადება

1. სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი კომისია საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის სახელზე ამზადებს წერილობით დასკვნას სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების ან დაუდასტურებლობის შესახებ.
2. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დასკვნით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ან უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე;

ბ) არასაკმარისი დასაბუთების მოტივით, დასკვნის კომისიისთვის დაბრუნების თაობაზე, მისი ხელახალი შესწავლის მიზნით;

გ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

3. სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი კომისიის მიერ დასკვნის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
4. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი დასკვნას განიხილავს და შესაბამის აქტს გამოსცემს დასკვნის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

თავი VI. დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 14. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

1. საქსტატის თანამშრომლის მიმართ სექსუალური შევიწროების ჩადენა ითვლება მძიმე დისციპლინურ გადაცდომად.
2. საქსტატის თანამშრომლის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის დასკვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ:
   ა) გაფრთხილება;
   ბ) საყვედური;
   გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;
   დ) სამსახურიდან გათავისუფლება.

3 სანქციის სახე დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმეზე, ხარისხსა და რეციდივზე.

4. შემავიწროებლის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სანქციის მხოლოდ ერთი სახე.

5. დაუშვებელია სექსუალური შევიწროების ჩამდენისთვის დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

თავი VII. სექსუალური შევიწროების პრევენციასა და კონსულტაციაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი

მუხლი 15. სამუშაო ჯგუფის შექმნის წესი და მისი უფლება-მოვალეობები

1. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მონიტორინგის განმახორციელებელ მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფს.
2. სამუშაო ჯგუფი შედგება სამი წევრისაგან, რომელთა შემადგენლობასაც განსაზღვრავს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი საქსტატში დასაქმებული სპეციალისტებისგან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და მგრძნობელობა სექსუალური შევიწროების საქმეების მიმართ.
3. სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობებია:

ა) საქსტატში სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, თანამშრომლებისათვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შეთავაზება;

ბ) საქსტატში დასაქმებული პირისათვის ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევა სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარება;

გ) საქსტატის თანამშრომლებისათვის მექანიზმის დოკუმენტის გაცნობა;

დ) მექანიზმის მუშაობასთან დაკავშირებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი შემდგომი გამოსწორების მიზნით საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის წერილობითი ინფორმირება;

ე) სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება.

თავი VIII. მონიტორინგი და შეფასება

მუხლი 16. მონიტორინგი

საქსტატში არსებული მექანიზმის მონიტორინგის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი ვალდებულია აწარმოოს სტატისტიკა და მოამზადოს ყოველწლიური ანგარიში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების დოკუმენტის შესრულების ინციდენტების რაოდენობისა და დამდგარი შედეგების, ასევე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობების თაობაზე.

მუხლი 17. შეფასება

წლიური ანგარიშით გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, საქსტატი აფასებს მექანიზმის დოკუმენტის ეფექტიანობას, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს არსებული მექანიზმის დოკუმენტის გადახედვასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.

თავი IX. სხვა დებულებები

მუხლი 18. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დოკუმენტის ურთიერთმიმართება

სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლისას საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი და კომისია ხელმძღვანელობს: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონითა და წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებითა და დებულებებით. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ საკითხებზე სპეციალური რეგულაცია ამ მექანიზმით არის გათვალისწინებული, ასეთ შემთხვევაში, საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა და კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის დოკუმენტით გათვალისწინებული წესით, რაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას